პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 ოქტომბერი, შაბათი, 1989 წ.
№ 193 (10 112) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

**7 ოქტომბერი**

**სსრ კავშირის კონსტიტუციის დღე**

## გიხაროდენ...

# შეიქმნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ-ი) დამფუძნებელი კონფერენცია.

კონფერენციამ აირჩია სეოკ-ის შემადგენლობა და მიიღო რეზოლუცია.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პირველ პრეზიდენტად კონფერენციამ ერთხმად აირჩია მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის, საჭადრაკო ოლიმპიადების ათგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი.

გაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი სესია. სესიამ აირჩია სამი ვიცე-პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და აღმასკომის 8 წევრი.

ვიცე-პრეზიდენტებად აირჩიეს ვ. ხანეევი, თ. გაჩეჩილაძე და ბ. ნაცვლიშვილი, გენერალურ მდივნად — დ. კინწურაშვილი, აღმასკომის წევრებად — ვ. კაჭარავა, ნ. გუგუშვილი, დ. კუპრეიშვილი, დ. სულაქველიძე, ი. ყიფიანი, ა. ციგაძე, ნ. ცხაკაია, ზ. წერეთელი.



რეგისტრაციის დროს.



სიტყვით გამოდის საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი, ოლიმპიურ ჩემპიონთა რესპუბლიკური კლუბის პირველი პრეზიდენტი დავით ციმაკურიძე.



სხდომათა დარბაზში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

# პირველი ჩემპიონი — საქართველოს გუნდი

ქალთა წყალბურთი სულ უფრო პოპულარული ხდება. დასტურად ისიც გამოდგება, რომ ამ დღეებში ქვეყნის პირველი ჩემპიონატიც გაიმართა ზაპოროჟიეში. ქართველმა გოგოებმა ამ ასპარეზობაში ყველა მეტოქე დაჯაბნეს და სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს.

გუშინ ქვეყნის პირველი ჩემპიონები საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელ კონფერენციაზე მივიდნენ, დელეგატებს მიულოცეს სეოკ-ის შექმნა, თავის მხრივ კი სეოკ-ის დელეგატებმა ფეხზე ადგომით შეაგებეს ოვაცია გამარჯვებულ გუნდს.

**სურათზე:** სსრ კავშირის პირველი ჩემპიონები, საქართველოს წყალბურთელი ქალები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



თვის მონაგარი

# სუვერენიტეტისაკენ წინგადადგმული ნაბიჯი

**აგერ** უკვე რამდენიმე წელია ამ რუბრიკით მკითხველს საქართველოს სპორტსმენთა ყოველი თვის მონაგარს ვახსენებთ. ვთვლით ჩვენი სპორტსმენების ყულაბაში ჩაჩხრიალებულ „ოქრო-ვერცხლს", მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მათ მიერ მოპოვებული ძვირფასი ლითონების ელვარება თვალს ისე გვჭრის, სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები ველარ დავინახოთ. ასეთ მოვლენებს, ჩვეულებრივ „თვის მონაგრის" ბოლოს ვახსენებთ, მაგრამ ახლა ტრადიცია უნდა დავარღვიოთ. უნდა დავარღვიოთ, რადგან ის, რაც სექტემბერში რესპუბლიკის სპორტულ მოძრაობაში მოხდა, საქართველოს სუვერენიტეტისკენ მიმავალ გზაზე მეტად მნიშვნელოვანი მოვლენები გახლდათ. ერთ-ერთი მათგანი ფრიად საყურადღებო იყო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს სპორტულ ცხოვრებაშიც.

**მაშ ასე, თბილისი. 1989 წლის 13 სექტემბერი. ეს დრო და ადგილი სამუდამოდ შევა მსოფლიო სპორტის ისტორიაში. ამ დღეს ხომ ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი შეიქმნა და იგი შექმნეს საქართველოს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა. ეს კი მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში უნიკალური მოვლენაა. კლუბი ახლა ჩვენი რესპუბლიკის 25 ოლიმპიურ ჩემპიონს აერთიანებს. მომავალში მათი რაოდენობა გაიზრდება. გაიზრდება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, ალბათ, მთელი მსოფლიოს ოლიმპიური ჩემპიონებით.**

**გასული „თვის მონაგარში" ღირსეული ადგილი უნდა მივუჩინოთ რაგბისაც. არა, საქართველოს რაგბისტებს სექტემბერში არც საკავშირო და არც საერთაშორისო სარბიელზე ჩინ-მედლები არ მოუპოვებიათ, მაგრამ ქართული სპორტის სუვერენიტეტისკენ მიმავალ გზაზე დიდი ნაბიჯი გადადგეს.**

**დიახ, სექტემბერი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი იყო ქართული რაგბისთვის.**

**12 სექტემბერს ქუთაისის მთავარ სტადიონზე მთელი ქართული სპორტისათვის მართლაც რომ ისტორიული მატჩი გაიმართა. პირველად ისტორიაში, სპორტის სათამაშო სახეობაში, შეიკრიბა საქართველოს ეროვნული ნაკრები და გამართა ოფიციალური ტესტ-მატჩი უცხოეთის ქვეყნის — ზიმბაბვეს ეროვნულ ნაკრებთან. შინდისფერ-შავ-თეთრ კვართებში გამოწყობილმა „შევარდნებმა" — რვა ქუთაისელმა და შვიდმა თბილისელმა, გადაულებელი წვიმის მიუხედავად, მაინც შთაგონებით ითამაშეს, ოსტატობით აჯობეს ძლიერ მეტოქეს — აფრიკის ჩემპიონს, მსოფლიო თასის გათამაშების ფინალური ეტაპის მონაწილეს და ისტორიული გამარჯვებაც მოიპოვეს (16:8).**

**უეჭველია, ეს მოგება რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) მიერ**

იხ. მე-4 გვ.

# წარმატება სტარტზე

**ტაშკენტი.** აქ დაიწყო აზიის ღია თასის გათამაშება ბილიარდში. ასპარეზობაში მონაწილეობს საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში გამარჯვებული 35 ბილიარდისტი. თავდაპირველად, ჩატარდება შესარჩევი შეხვედრები რვა ჯგუფში. მერე თექვსმეტი უძლიერესი გააგრძელებს ბრძოლას მთავარი პრიზისთვის. გათამაშების ამ ეტაპზე შეხვედრები ოლიმპიური სისტემით მოეწყობა.



სტარტზე თავი გამოიჩინეს ქართველმა ბილიარდისტებმა — დათო ბერსენაძემ და გივი კობოსნიძემ, აგრეთვე, ტაშკენტელებმა ბატირ რაუპოვმა და სულთან მარიფხოჯაევმა. შეგახსენებთ, რომ ასპარეზობა ტარდება „რუსულ პირამიდაში".

**სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში**

# ორი მატჩი

**4 და 5** ოქტომბერს თბილისში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის თანაკლუბელთა შორის. პირველი შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა 98:76 (48:31), მეორე დღეს კი თბილისელმა კალათბურთელებმა რევანში აიღეს — 92:91 (46:44).





# განგებამ დაგვავალა ეროვნული ინტერესების დაცვა

### გამოხმაურება წერილზე: „კარატემ კვლავ იხილა მზის სინათლე“

**საგაზეთო** წერილზე გამოხმაურება, საერთოდ, ორ შემთხვევაში იწერება: პირველი, როდესაც გამოხმაურების ავტორი ეთანხმება ხსენებულ წერილს, მეორე — როდესაც მას რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება გააჩნია.

„ლელოს“ 28 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე „კარატემ კვლავ იხილა დღის სინათლე“ გამოხმაურება უფრო მეორე შემთხვევას განეკუთვნება და მისი მიზანია მკითხველი გაარკვიოს საქმის ნამდვილ ვითარებაში. საქმე ისაა, რომ ხსენებულ წერილში საუბარია საქართველოს კარატისტთა წარმატებაზე საკავშირო ასპარეზობაში. თავიდანვე გვინდა გავარკვიოთ „ლელოს“ მკითხველები: ნუ აურევთ წერილში ნახსენებ ასპარეზობას სსრ კავშირის ჩემპიონატში და გუნდს, რომელიც საქართველოს სახელით გამოდიოდა — რესპუბლიკის ნაკრებში.

ქვემოთ მოგახსენებთ, თუ რატომ ვამახვილებთ ამ ფაქტებზე ყურადღებას.

**ფაქტი I.** საკავშირო ჩემპიონატის ჩატარება სპორტის რომელიმე სახეობაში შესაბამისი საკავშირო სპორტული ფედერაციის პრეროგატივაა. კარატეში, დღესდღეობით, სპორტსახკომთან არ არსებობს ასეთი ფედერაცია. მაშ რას წარმოადგენს ე. წ. „აღმოსავლური ორთაბრძოლების საბჭოთა ასოციაცია“? ეს გახლავთ საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოყალიბებული გაერთიანება, რომელსაც, ჯერჯერობით, იურიდიული სტატუსი არ გააჩნია. მეტიც, საკავშირო სპორტსახკომმა არ სცნო მისი, როგორც სპორტული ასოციაციის უფლებამოსილება. მაშ რა პირველობა შეეძლო ჩაეტარებინა **ხავე-ს** (შემოკლებით ასე ეძახიან რუსული დასახელების შემადგენელ სიტყვათა პირველი ასოების მიხედვით)? **ხავე-ს** შეეძლო ჩაეტარებინა მხოლოდ **ხავე-ს** პირველობა, რომელშიც მონაწილეობას, ბუნებრივია, მიიღებდნენ ისინი, ვინც **ხავე-ს** შემადგენლობაშია გაერთიანებული. თუ რესპუბლიკებში იარსებებდნენ **ხავე-ს** განყოფილებები (ზოგიერთ რესპუბლიკაში ასეთი განყოფილება მართლა არსებობს), ჩემპიონატის გეოგრაფიაც მხოლოდ მაშინ გასცილდებოდა რსფსრ-ის ფარგლებს. აქედან გამომდინარე, ჩვენი ჩემპიონი, თემურ ცქიტიშვილი **ხავე-ს** პირველობის ჩემპიონია და არა საკავშირო, ხოლო მისი მედლითა და საპატიო სიგელით დაჯილდოვებული მწვრთნელი ზურაბ ლექავა — **ხავე-ს** საუკეთესო მწვრთნელი.

**ფაქტი II.** საქართველოს კარატისტთა ნაკრები ან ამ ნაკრების სტატუსის მქონე გუნდი არ არსებობს. საქართველოს სპორტსახკომს ასეთი ნაკრები ბუნებრივია, ჯერ არა ჰყავს (და სანამ არ შეიქმნება საკავშირო ფედერაცია, როგორც ჩანს, არც ეყოლება). საქართველოში, წლეულს, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან შეიქმნა ქართულ და აღმოსავლურ ორთაბრძოლათა ასოციაცია, რომლის გარშემო გაერთიანდა პრაქტიკულად ყველა მოქმედი ჯგუფი აღმოსავლური ორთაბრძოლებისა და რომლის კარატისტთა ნაკრებიც ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია. მაშ ვინ არიან ჩვენი პრიზიორები? ეს გახლავთ **ქაოა-ს** (აკრონიმი ქართულ და აღმოსავლურ ორთაბრძოლათა ასოციაციისა) ორი სტილის ე. წ. შოტო-კანის (ინსტრუქტორი ზ. ლექავა) და კიოკუშინკაის (ინსტრუქტორი გ. ბარაბაძე) თითო სკოლის წარმომადგენლები (მაგალითად, შოტო-კანის სტილში მარტო თბილისში 6 სკოლა მოქმედებს). ისინი **ქაოა-ს** წევრობას სავე-ს წევრობასთან ათავსებენ და ოფიციალურად **ხავე-ს** პირველობაზე გაემგზავრნენ როგორც ინდივიდუალური წევრები და არა როგორც საქართველოს ნაკრები გუნდი. შესაძლოა მავანს ესეც წვრილმანად ეჩვენოს, მაგრამ ამ სკოლათა პრესტიჟისათვის საქართველოში ისევ სჯობდა საგნებისათვის თავისი სახელი დაგვერქმია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საქართველოს ნაკრები გუნდის სტატუსის მინიჭება სპორტის რომელიმე სახეობაში საქართველოს სპორტსახკომის პრეროგატივაა და მისი გვერდის ავლით ასეთი რაიმეს გაკეთება, სულ ცოტა, სპორტსახკომის ფუნქციების მითვისებას ნიშნავს. მეორეს მხრივ, **ქაოა-ს** ნაკრების წევრობაზე საქართველოში პრეტენზიას, სულ ცოტა, 14 სტილის სპორტსმენი აცხადებს. თბილისში, მაგალითად, თავისი ურთიერთობა ამ მხრივ ჯერ არ გაურკვევიათ ვადო რიუს (8 სკოლა), შიტო რიუს (5 სკოლა), ტაეკვანდოს (2 სკოლა; ეს უკანასკნელი, მართალია, კარატესგან განსხვავებული სახეობაა, მაგრამ მათ წევრებს შეუძლიათ კარატეს შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, თუ ამ სახეობის წესებით იმოქმედებენ), და სხვ. არაფერს ვიტყვით ისეთ რეგიონებზე, როგორიცაა აფხაზეთი, აჭარა, ქუთაისი, თელავი, გორი, წყალტუბო, ჭიათურა, სიღნაღი, სადაც პრაქტიკულად წარმოდგენილია აღმოსავლურ ორთაბრძოლათა მეტ-ნაკლებად სრული პალიტრა. აქ გაერთიანებულ სპორტსმენებს ასევე გააჩნიათ პრეტენზია წარმოადგინონ საქართველო სხვადასხვა რანგის შეჯიბრებაზე, ეს საკითხი **ქაოა-ს** ოფიციალურმა პირველობამ, ანდა სპეციალურმა შერჩევებმა (პირველი ასეთი ნაბიჯი გადაიდგა 23 სექტემბერს) უნდა გადაჭრას, ხოლო, სანამ ეს სამუშაო არ გასრულებულა, ბუნებრივია, **ქაოა-ს** ნაკრები არ ჰყავს. აქვე აღვნიშნავთ, რომ **ხავე-სგან** განსხვავებით ქაოა იურიდიული პირია და მოქმედებს ოფიციალურად, როგორც სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ასოციაცია.

ასეთი გახლავთ ფაქტები. ახლა კი მთავარზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. როდესაც „ლელოს“ ინფორმაციაზე გამოხმაურება გადავწყვიტეთ, სულაც არ გვიფიქრია ვინმეს მედლების ფერთა ელვარების გახუნება, ანდა საკუთარი ამბიციების წარმოჩენა. საკითხი გაცილებით უფრო ღრმაა და ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ეხება. როდესაც სავე იქმნებოდა, მისი ემისრები გახლდნენ თბილისში და შეეცადნენ დაერწმუნებინათ აღმოსავლური ორთაბრძოლებით დაინტერესებული ქართველები გაერთიანებულიყვნენ **ხავე-ს** თბილისის განყოფილებად. მათ გეგმაში იყო აგრეთვე ცალკე შეექმნათ საქართველოს რეგიონალური განყოფილებები, როგორც **ხავე-ს** კოლექტიური წევრი. ასეთი დაყოფა სრულიად ეწინააღმდეგებოდა საქართველოში კარატესა და სხვა ორთაბრძოლების განვითარების ინტერესებს, თუმცა ეს მაინც არ ყოფილა მიზეზი, რის გამოც **ხავე-ს** მესვეურებს უარი ეთქვათ საქართველოში მათი განყოფილებების შექმნაზე. აღმოსავლურ ორთაბრძოლათა ქართველმა მოყვარულებმა ამ სახეობათა განვითარებით იმთავითვე ორი ეროვნული პრობლემის გადაწყვეტა დაისახეს მიზნად. პირველი — დაეწყოთ ბრძოლა ქართული კულტურის ისეთი ფენომენის გადარჩენისათვის, როგორიცაა ქართული ხელჩართული ბრძოლის სახეობანი, რომელნიც (ქართული ჭიდაობის გარდა) პრაქტიკულად დავიწყებულია. ხაზი გვინდა გავუსვათ, რომ ამ სახეობათა აღდგენა ჩვენთვის კულტუროლოგიური ამოცანაა, ვინაიდან ერის საბრძოლო ტრადიციების არსენალი ერის კულტურის ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც მისი ხუროთმოძღვრება. გარდა ამისა, ეს არის ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების და ახალგაზრდობის სულიერი აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი. ბუნებრივია, მოსკოვში შექმნილ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ასეთი ამოცანის გადაჭრა სულაც არა აქვს მიზნად და არც არის ამით დაინტერესებული.

მეორე მომენტი, რომლის გამოც ჩვენ უარვყავით სავე-ს წინადადება, გახლდათ შეგნება იმისა, რომ საქართველოში დაიწყო დამოუკიდებელი ოლიმპიური მოძრაობა და ჩვენი ძალისხმევის ნაწილი სწორედ ამ კალაპოტში უნდა მოგვექცია. ვინც იცნობს იმ სიძნელეებს, რომლებიც ასე უხვადაა ამ მოძრაობის გზაზე და ვინც გარკვეულია ამ მოძრაობის ნიუანსებში, იცის, რარიგ მტკივნეულად დგას რესპუბლიკაში დამოუკიდებელ სპორტულ ფედერაციათა არსებობის საკითხი. ამის გამო, აღმოსავლურ ორთაბრძოლათა დამოუკიდებელი ქართული ასოციაციის არსებობა დღეს ერთ-ერთი პირობაა დამოუკიდებელი ოლიმპიური კომიტეტის არსებობისა. ბუნებრივია, არც ამ ამოცანის გადაწყვეტა წარმოადგენს **ხავე-ს** სანუკვარ მიზანს. ორივე ამოცანის გადაჭრა იტვირთა ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაციამ და სწორედ ამ ამოცანათა სპეციფიკით იყო გაპირობებული მისი, როგორც სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ასოციაციად ჩამოყალიბება. ერთის მხრივ ეს აადვილებდა კულტუროლოგიური ამოცანის გადაჭრას: ქართულ ორთაბრძოლებს ჯერ მიკვლევა სჭირდება და ეს არ არის მხოლოდ სპორტსმენთა საქმე და, მეორეს მხრივ, ეს ათავისუფლებდა საქართველოს სპორტსახკომს იმ ორჭოფული მდგომარეობისაგან, როდესაც ის, ერთის მხრივ, კიდევ ერთი ძაფით დამოკიდებული უნდა ყოფილიყო ცენტრისაგან და, მეორეს მხრივ, სათავეში ჩადგომოდა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნას. საქართველოს სპორტსახკომის მესვეურები სრული გაგებით შეხვდნენ **ქაოა-ს** შექმნას (ამაში თავისი როლი, ალბათ, მისი თავმჯდომარის ეროვნულმა პოზიციამაც შეასრულა). სწორედ ამ უკანასკნელ გარემოებას უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ საქართველოს სპორტსახკომს არ „გაუპროტესტებია“ **ქაოა-ს** უფლებამოსილება.

აღნიშნულმა ვითარებამ, ბუნებრივია, **ხავე-სა** და **ქაოა-ს** შორის გარკვეული დიპლომატიური „გამყინვარება“ გამოიწვია. სხვათაშორის, **ქაოა-ს** წევრთაგან მხოლოდ ჩვენი პრიზიორები გახლავთ **ხავე-ს** წევრები. სხვა არავინ. ამის გამოა ისიც, რომ **ხავე-ს** საკავშირო სტატუსი არ გააჩნია, რაც მეტად ბორკავს მის ცენტრისკენულ მისწრაფებებს.

ახლა, რაც შეეხება ალმა-ათის შეჯიბრებას. მიუხედავად მიზანთა სხვადასხვაობისა, ქაოა წინადადებით შევიდა **ხავეს-თან** პარიტეტულ საწყისებზე ურთიერთობის შესახებ. ამ ურთიერთობის ერთ-ერთი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო **ხავე-ს** პირველობაზე კონკურსგარეშე საქართველოს გუნდის მონაწილეობა. გუნდის მიღებაზე სავე-მ სასტიკი უარი განაცხადა. მრ[illegible] ვინც **ხავე-ს** წევრი არ არის, ის არც **ხავე-ს** პირველობაზე [illegible]ფაშვება. **ხავე-ს** ასეთი გაჯიუტება მარტო შელახული თავმოყვარეობით არ აიხსნება. მას სურს ერთადერთი ინსტანცია იყოს, რომელიც სსრკ-ს წარმოადგენს საერთაშორისო ასპარეზზე. სამწუხაროდ, დღეს მოქმედი საერთაშორისო ფედერაციების წესდებებით, ამ შემთხვევაში, საქართველოს დამოუკიდებელი ასპარეზის გზა დაეკეტება საერთაშორისო სარბიელზე; არადა, გამოჩნდა პირველი კონტაქტების რეალური კონტურები. ბუნებრივია, სწორედ ამას ვერ შეეგუება სავე.

ასეთ პირობებში გაემგზავრა ალმა-ათაში **ხავე-ს** ინდივიდუალურ წევრთა ჯგუფი საქართველოდან. ისინი მთლიანად ერკვეოდნენ იმ „სამზარეულოში“, რომელშიც ეს-ესაა ჩავახედეთ მკითხველი და მშვენივრად აცნობიერებდნენ, რომ მათი, როგორც საქართველოს გუნდის წარმოჩენა **ხავე-ს** პრიორიტეტის ცნობას ნიშნავდა, ეს კი ჩვენი ოლიმპიური მოძრაობისთვის მიყენებული ჭრილობა გახლდათ. რა არის ეს, დაუდევრობა თუ საეჭვო ელვარების მქონე მედლებზე გაცვლილი ეროვნული ინტერესები? გასაოცარია საქართველოს კომკავშირის ცკ-ის სპორტის ხელმძღვანელთა პოზიციაც, რომელთაც მადლობით იხსენიებენ საგაზეთო წერილში ე. წ. ნაკრების წევრები. ნუთუ მათ არაფერი იცოდნენ **ქაოა-ს** არსებობის შესახებ? ხოლო თუ იცოდნენ, ნუთუ არ დაინტერესდნენ, რატომ არ ზრუნავდა გუნდის გამგზავრებაზე **ქაოა** ან სპორტსახკომი? რატომ გახდა ეს „გუნდი“ მათი საპატრონო? რით ავხსნათ ყოველივე ეს? მკითხველმა თავად განსაჯოს თუ რა სჯობია — საქართველოს სუვერენიტეტის კიდევ ერთი ასპექტით გაფართოება, თუ ერთი-ორი ქართველის მონაწილეობით სხვათა მიერ მოპოვებული „ბოჰემიისა“ ან თუნდაც მსოფლიო თასი?

ჩვენ კი ბოლოთქმის ნაცვლად ერთ ფაქტს გავიხსენებთ: **ქაოა-ს** დამფუძნებელი ყრილობა დანიშნული იყო 1989 წლის 8 აპრილს, შაბათს, უნივერსიტეტის საქტო დარბაზში. ამ დღეს, უნივერსიტეტთან შეკრებილი დელეგატების წინ დიდი სისწრაფით ჩაიქროლეს ტანკებმა და რუსთაველის გამზირისკენ დაეშვნენ.... ყრილობა იმ დღეს გადაიდო, ხოლო დელეგატების დიდმა უმრავლესობამ მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი: რბევისაგან დაეცვათ შიმშილით გათანგული ახალგაზრდები...

**ავთანდილ მიქაძე,**
**ქაოა-ს სამხატო კომისიის თავმჯდომარე,**

**თეიმურაზ ჯორჯაძე,**
**ქაოა-ს საურთიერთობო კომისიის თავმჯდომარე,**

**დავით თევზაძე,**
**ქაოა-ს თბილისის განყოფილების თავმჯდომარე.**

---

### ვინ როგორ შეეგება ახალ სასწავლო წელს

# თუ იმას გააკეთებ, რაც შეგიძლია, რაც გევალება

### სენაკის რაიონის სკოლებში ბევრგან საქმე კარგადაა, ბევრგან კი...

რაკი წელს საქართველოში მეტწილად სასწავლო წელი ერთი თვით გვიან დაიწყო, ბევრგან კარგი საშუალება მიეცათ უკეთ მომზადებულიყვნენ. უნარიანმა ხელმძღვანელებმა დროზე დაიჭირეს თადარიგი. სამწუხაროდ, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც არც ზაფხულის პერიოდში, არც სექტემბერში ფიზკულტურულ-სპორტული ბაზებისთვის არაფერი შეუმატებიათ. მათ შორის აღმოჩნდა სენაკის ზოგიერთი სკოლა, სადაც სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

მივყვეთ ფაქტებს. პირველი და მე-4 საშუალო სკოლები გვერდიგვერდ მდებარეობენ. პირველი სკოლა შარშან აიგო, მე-4 წელს შენდება. ორივე სკოლას ძალიან მცირე ტერიტორია აქვს. ალბათ ამან განაპირობა ის, რომ დამპროექტებლებმა საერთო სპორტული დარბაზი გაითვალისწინეს და ის კი არ იფიქრეს, ერთი დარბაზი ორ სკოლას როგორ გამოადგება. თითო სკოლაში 650-ზე მეტი ბავშვია. ამ სკოლების სპორტული ბაზების საქმეში კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა ჩაიხედონ.

მე-5 საშუალო სკოლა ახალ ტიპიურ შენობაშია მოთავსებული (დირექტორი დ. გოგონავა, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. დუდუჩავა). სამუშაო საათებში იქ არავინ დაგვხვედრია, ცხადია, ვერც სპორტდარბაზში შევაღწიეთ, თუმცა... გარედანაც ბევრი რამ ჩანდა. ფანჯრები ჩამსხვრეულია, შიგნით კედლები და იატაკი შესაღებია. ეზოში ერთი ციცქნა კალათბურთის მოედანი აქვთ. მისი კეთილმოწყობა არავის გახსენებია. ღია სარბიელზე ბალახს ასფალტი ამოუხეთქია. ირგვლივ საშინელი ანტისანიტარია სუფევდა. სამშენებლო ნარჩენების გროვა იდგა, თანაც მოსახლეობა სკოლის ეზოს პირუტყვის საბალახოდ იყენებს.

დღის ბოლოს განათლების განყოფილებაში მოვიდნენ სკოლის დირექტორი და ფიზკულტურის მასწავლებელი. გვითხრეს, მაინცდამაინც იმ წუთს მოხვედით, როცა ადგილზე არ ვიყავით, თორემ სულ იქა ვართო. კეთილი და პატიოსანი. გვჯერა უსათუოდ იქნებოდნენ, მაგრამ ის გულგრილობა რით ავხსნათ, რაც ვიხილეთ? ეტყობა, შეგუებულნი არიან.

მე-7 საშუალო სკოლის დირექტორი ი. ბოჯგუა ადგილზე მთელი პედკოლექტივით დაგვხვდა, ფიზკულტურის მასწავლებლები (გ. ბალათურია, ჯ. გაბუნია) კი არსად ჩანდნენ. სკოლის სპორტდარბაზი ავარიულ მდგომარეობაშია: ჩამსხვრეული მინები, გასახდელებში — აცვენილი იატაკი... უარეს მდგომარეობაშია ღია მოედნები. კანალიზაციის სიბინძურე ზედ ფეხბურთის მოედანზეა მიშვებული. ბალახი ზოგიერთ ადგილას მოუთიბავთ, მაგრამ ბურთის სათამაშოდ მაინც არ ვარგა, უკეთეს დღეში არც კალათბურთის მოედანია — გრუნტი არ ვარგა, ფარები დამპალია, რგოლები არა აქვს; სარბენი ბილიკი და სახტომი ორმო საერთოდ არ გვინახავს. ერთი სიტყვით, აქაურობას დიდი ხანია კაცის მზრუნველი ხელი არ შეხებია.

სკოლის დირექტორი სექტემბრის პირველ რიცხვებში აირჩიეს, ძველ დირექტორს კი ავადმყოფობის გამო კარგა ხანს არ უმუშავია. ეტყობა, არავინ დარჩა განმკითხავი, ახალმა ხელმძღვანელმა კი მოსვლისთანავე დარბაზის გადახურვაზე იზრუნა. სხვა სამუშაოები ვერ მოასწრო. ფიზკულტურის მასწავლებლები კი საჭირო მონდომებასა და ინიციატივას არ იჩენენ, რათა შექმნილ სიტუაციაში ელემენტარული სამუშაო პირობები შეიქმნან.

სანატორიუმის ტიპის სკოლა-ინტერნატში, რომელიც რევმატიული დაავადების ბავშვებს ემსახურება, ღია სპორტული მოედნები უსიამოდ გამოიყურება. სკოლის დირექტორმა ჯ. ფარცვანიამ გვიმტკიცა, სწავლას 9 ოქტომბერს ვიწყებთ და მანამდე ყველაფერს მოვასწრებთო. დაგვაეჭვა მისმა სიტყვებმა. მთელი ოთხი თვე აქ არაფერი გაკეთებულა, ასე მალე როგორ შეძლებენ სპორტდარბაზში ჩამსხვრეული მინების გამოცვლას, კედლების და იატაკის შეღებვას.

მე-3 საშუალო სკოლაში (დირექტორი ლ. ელიავა, ფიზკულტურის მასწავლებელი ი. ადამია). მიშენებითი სამუშაოები ტარდებოდა. სკოლას ვიწრო ეზო აქვს, აქ კალათბურთის და ხელბურთის კომბინირებული მოედანი ძლივს ეტევა. არც ის იყო მზად, ეტყობა, მშენებლობამ შეუშალა ხელი.

ნათელია, რომ სკოლათა ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სპორტული ბაზების კეთილმოწყობას. მხოლოდ მე-3 საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლები მუშაობდნენ სპორტდარბაზში. ნუთუ სხვაგან მათმა კოლეგებმა არ უნდა მოაწესრიგონ თავიანთი სამუშაო ადგილი? ნუთუ არ ევალებათ მზადყოფნაში ჰქონდეთ დარბაზები, ღია მოედნები, სარბენი ბილიკები, სახტომი ორმოები, დროზე შეიძინონ ინვენტარი, რომელიც თითქმის ყველა სკოლას აკლია?

1988 წლის ივნისში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველომ სენაკის სკოლებში ფიზიკური კულტურის საგნის სწავლებისა და მოსწავლეთა შორის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მასობრივი მუშაობის მდგომარეობის საკითხები საფუძვლიანად შეამოწმა და სპორტული ბაზების გამოყენებისა და ექსპლოატაციის რეკომენდაციებიც დატოვა, თუმცა, ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელს, ეტყობა, არაფრად უღირს ზემდგომი კომპეტენტური ორგანოს მითითება. რაიონის განათლების საბჭოს სხდომაზეც არაერთხელ ჰქონდათ ამ საკითხზე მსჯელობა, მაგრამ საჭირო დასკვნები არც აქედან გაუკეთებიათ.

შეიძლება მდგომარეობის მოკლე დროში გამოსწორება? ვფიქრობთ, შეიძლება, ოღონდ... ოღონდ გულთან ახლოს უნდა მიიტანო საქმე და თითოეულმა ის გააკეთოს, რაც შეუძლია, რაც ევალება.

**ნუგზარ ჟვანია.**
**„ლელოს“ საკ. კორ.**
სენაკი.



იტალია-90

# ერთი ნაბიჯი ფინალამდე

**ხვალ,** 8 ოქტომბერს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ კარლ-მარქს-შტადტში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ამ ქვეყნისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

შეგახსენებთ ევროპის III შესარჩევ ჯგუფში სადღეისოდ შექმნილ მდგომარეობას:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 6 | 3 | 3 | 0 | 8- 2 | 9 |
| ავსტრია | 6 | 2 | 3 | 1 | 6- 6 | 7 |
| ისლანდია | 8 | 1 | 4 | 3 | 6-11 | 6 |
| თურქეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 9- 8 | 5 |
| გდრ | 6 | 2 | 1 | 3 | 7- 9 | 5 |

როგორც ხედავთ, საბჭოთა ფეხბურთელებს შესარჩევ ქვეჯგუფში საუკეთესო მდგომარეობა აქვთ, საკმარისია გუნდმა ერთი ქულაც აიღოს და იგი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე გახდება. ფინალისთვის საჭირო ამ ნორმას საბჭოთა ფეხბურთელები, იმედია, შეასრულებენ, ვინაიდან მათ ქვეჯგუფში კიდევ აქვთ ჩასატარებელი ბოლო მატჩი თურქეთის ნაკრებთან საკუთარ მინდორზე. მაგრამ როგორი პერსპექტივებიც არ უნდა ჰქონდეს გუნდს, საჭიროა ბრძოლა სრული მონდომებით, სრული შესაძლებლობით. ჩვენი ნაკრები შეჯიბრების დაწყებიდანვე მტკიცედ ლიდერობს შესარჩევ ჯგუფში, პირველი ადგილი მან დამაჯერებლად უნდა გაინაღდოს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ერთობ მარცხიანად იბრძოლა, და, როგორც ხედავთ, ბოლო, მეხუთე ადგილზე იმყოფება. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც გდრ-ის ფეხბურთელებმა საგანგებოდ გამოიდონ თავი თავიანთ მინდორზე და ახალი მწვრთნელის ე. მაიერის მეთაურობით პრესტიჟის მატჩი გამართონ.

სსრ კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ დაასახელა კანდიდატები, რომლებიც კარლ-მარქს-შტადტში მიემგზავრებიან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მონაწილეობის მისაღებად. მათ შორის არიან: ვ. ჩანოვი, დ. ხარინი, ვ. ბესონოვი, ო. კუზნეცოვი, ვ. ხიდიატულინი, ა. ცვეიბა, ო. ლუჟნი, ს. კორლუკოვიჩი, ა. მიხაილიჩენკო, ი. იარემჩუკი, ვ. რაცი, ა. ზიგმანტოვიჩი, ს. ალეინიკოვი, ა. ზავაროვი, გ. ლიტოვჩენკო, ო. პროტასოვი, ი. დობროვოლსკი, ი. სავიჩევი.

სასიხარულოა, რომ ჩვენი გუნდის შემადგენლობაშია ნაკრების ახალი წევრი, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი ახრიკ ცვეიბა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა გუნდების შესარჩევ მატჩს საკავშირო ტელევიზია I პროგრამით გადასცემს 8 ოქტომბერს 20 საათიდან თბილისის დროით.

• • •

**დორტმუნდში** შედგა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ევროპის IV ჯგუფის გუნდებს შორის. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა ანგარიშით 6:1 (1:0) დაამარცხეს ფინეთის გუნდი. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს მიოლერმა (2), ლიტბარსკიმ, კლინსმანმა, ფელერმა და მატეუსმა, ხოლო ფინელთაგან — ლიპონენმა.

შესარჩევ ჯგუფში ახლა ლიდერია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები — 7 ქულა. ჰოლანდიის ფეხბურთელები მას ერთი ქულით ჩამორჩებიან, მაგრამ მათ მარაგში აქვთ ერთი მატჩი.

## I ლიგა

**გასულ** ოთხშაბათს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 37-ე ტურის შეხვედრები.

ლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა და უმაღლეს ლიგაში გადასვლის კანდიდატმა ლანჩხუთის „გურიამ“ ზაპოროჟიეში ითამაშა „მეტალურგთან“. თამაშს 10 ათასი მაყურებელი დაესწრო. პირველ წარმატებას ზაპოროჟიელმა ტარანმა მიაღწია 34-ე წუთზე, შესვენების შემდეგ კი ფრიდონაშვილმა საპასუხო ბურთი გაიტანა და თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1.

ქუთაისის ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ლიგის წამყვან ჯგუფში მყოფი ვორონეჟის „ფაკელი“. საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. ამ მატჩში დაწინაურდნენ სტუმრები (მოროზოვი). მან ბურთი მე-13 წუთზე გაიტანა, წუთის შემდეგ კი ფანცულაიამ გაათანაბრა ანგარიში — 1:1. შესვენების შემდეგ ფანცულაიამ მეორედ აიღო ვორონეჟელთა კარი. ტორპედოელები 68-ე წუთამდე ინარჩუნებდნენ ამ ანგარიშს, მაგრამ „ფაკელის“ ერთ-ერთი იერიში გოლით დაამთავრა პიმუშინმა — 2:2.

მასპინძლებს მატჩის მოგების რეალური შესაძლებლობა შეექმნათ, როცა 76-ე წუთზე გარღვევაზე გასული მეგრელაძე თავის საჯარიმო მოედანზე უხეშად წააქცია ვორონეჟელმა მინაევმა, მოსკოველმა მსაჯმა ე. რუნოვმა 11-მეტრიანი დანიშნა, მაგრამ თორლაშვილმა ძელს მოახვედრა ბურთი.

ბათუმში ამ დღეს თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ტაშკენტის „ფახთაქორი“. გადაუღებელ წვიმაში ორივე გუნდის ფეხბურთელებს უჭირდათ მოქმედება, მაგრამ, დინამოელებმა დიდი მონდომება და გამარჯვებისადმი სწრაფვა გამოიჩინეს, მათ ენერგიულ იერიშებს შედეგიც მოჰყვა: 35-ე წუთზე ტაშკენტელთა კარში ბურთი გაიტანა აფციაურმა და ეს გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა. გაიმარჯვა ბათუმის „დინამომ“ — 1:0.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის „დინამოს“ რიგებში გამოდიოდნენ მ. აფციაური (თბილისის „დინამოდან“) და მ. მესხი (ლანჩხუთის „გურიიდან“).

განვლილ ტურში ყურადღებო იყო კიშინიოვის „ნისტრუსა“ და ცსკა-ს შეხვედრა, რომელიც კიშინიოვში შედგა. თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 2:1, ასკ (დონის როსტოვი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:2, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 2:1, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 1:3, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:0.

### გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 7 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 35 | 22 | 9 | 4 | 85-21 | 53 |
| „კაირატი“ | 36 | 21 | 8 | 7 | 68-30 | 50 |
| „გურია“ | 35 | 21 | 8 | 6 | 60-31 | 50 |
| „ფაკელი“ | 35 | 16 | 10 | 9 | 41-29 | 42 |
| „დინ.“ სტ. | 35 | 15 | 11 | 9 | 44-35 | 41 |
| „ფახთაქ.“ | 36 | 15 | 10 | 11 | 50-29 | 40 |
| „ნეფთჩი“ | 35 | 14 | 12 | 9 | 47-35 | 40 |
| „ტავრია“ | 35 | 15 | 9 | 11 | 54-44 | 39 |
| „გეოლოგი“ | 36 | 16 | 6 | 14 | 45-42 | 38 |
| „მეტალ.“ | 35 | 15 | 8 | 12 | 47-35 | 38 |
| „ნისტრუ“ | 36 | 16 | 4 | 16 | 38-52 | 36 |
| „კოტაიკი“ | 35 | 12 | 12 | 11 | 38-32 | 36 |
| „ტორპედო“ | 34 | 14 | 5 | 15 | 52-57 | 33 |
| „როსტსელ.“ | 35 | 10 | 12 | 13 | 32-36 | 32 |
| „სპარტაკი“ | 35 | 11 | 9 | 15 | 42-49 | 31 |
| „შინიკი“ | 36 | 10 | 11 | 15 | 39-58 | 31 |
| „დინამო“ ბ. | 35 | 10 | 10 | 15 | 32-50 | 30 |
| „ყუბანი“ | 35 | 9 | 9 | 17 | 32-65 | 27 |
| „კუზბასი“ | 35 | 8 | 10 | 17 | 22-39 | 26 |
| ასკ რ. | 35 | 8 | 10 | 17 | 45-64 | 26 |
| „დაუგავა“ | 35 | 6 | 6 | 23 | 24-63 | 18 |
| ასკ „კარპ.“ | 35 | 5 | 7 | 23 | 32-73 | 17 |

## ოლიმპიელთა რეაბილიტაცია

**სსრ კავშირის** ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრები მზადებას შეუდგა 1992 წლის თამაშებისთვის. ამ სამზადისის პროგრამით გუნდმა კიევში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა ბულგარეთის ოლიმპიურ ნაკრებთან.

დაძაბულ ბრძოლაში საბჭოთა ოლიმპიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა** საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი 28-ე და 29-ე ტურის შეხვედრები.

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „სიონი“ (ბოლნისი) 4:4. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: კუხიანიძე, ალექსიძე, სირაძე-2 (პოლ. ინსტ.), მოსეშვილი, ტყავაძე-2, ლაზარევი („სიონი“).

**„მზიური“ (გალი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:2. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).** გოლები: მორგოშია, („მზიური“), სუხიაშვილი, იობიძე („შადრევანი“).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „დინამო“ (გაგრა) 3:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: შამუგია, კაკუბავა, როსტობაია („ამირანი“).

**„სულორი“ (ვანი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:2.**

**„არაგვი“ (დუშეთი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1. მსაჯი ნ. ჩიტაია (თბილისი).** გოლები: ჯამაგიძე, ბედუკაძე („არაგვი“), სიჭინავა („სამეგრელო“).

არასპორტული საქციელისთვის გააფრთხილეს ზ. ჯაშიაშვილი („არაგვი“), ხოლო მსაჯთან კამათისთვის — მ. სიჭინავა („სამეგრელო“).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4:3. მსაჯი რ. მგელაძე (თბილისი).** გოლები. სანადირაძე-2, ჭუნაშვილი, ქაფიანიძე („დურუჯი“), მშვენიერაძე, ბარამიძე, ჭუმბურიძე („მეტალურგი“).

**„არმაზი“ (მცხეთა) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:0. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი).** გოლები: სონღულაშვილი, ხუბეჯიშვილი („არმაზი“).

საფიხათო თამაშისთვის გააფრთხილეს გ. ვეშაპიძე („არმაზი“).

**„ივერია“ (ხაშური) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:1. მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი).** გოლები: მაზმიშვილი, ნოზაძე („ივერია“), ნაბელიშვილი („ბახტრიონი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს დ. ცხოვრებოვი („ბახტრიონი“).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 3:2.**

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 2:0. მსაჯი ვ. ხეროიანი (თბილისი).** გოლები: ქარჩავა-2 („სამეგრელო“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს გ. ჩიბაშვილი (პოლ. ინსტ.).

**„ივერია“ (ხაშური) — „მზიური“ (გალი) 2:3. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი).** გოლები: ნოჩაძე, ჯიხარიძე („ივერია“), ღურწკაია, ჯღარკავა, ყოლბაია („მზიური“).

**„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: მექვევრიშვილი, მანჭარაული („ბახტრიონი“).

**„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 5:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: მოდებაძე, ქველაძე, ასათიანი, ტეფნაძე, გველესიანი („მაღაროელი“), ჭუნაშვილი, ქარენაშვილი („დურუჯი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს გ. ქველაძე („მაღაროელი“), არბიტრის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის მინდვრიდან გააძევეს ა. ასათიანი („მაღაროელი“).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „არაგვი“ (დუშეთი) 3:1. მსაჯი რ. გარნოვსკი („სამტრედია“).** გოლები: ფოცხვერაშვილი-2, მშვენიერაძე („მეტალურგი“), ბედუკაძე („არაგვი“).

არასპორტული საქციელისთვის გააფრთხილეს ვ. ფოცხვერაშვილი („მეტალურგი“).

**„სიონი“ (ბოლნისი) — „სულორი“ (ვანი) 2:2. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი).** გოლები: ტყავაძე-2 („სიონი“), ბელთაძე, დვალიშვილი („სულორი“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:0. მსაჯი ვ. ალიევი (თბილისი).** გოლი: სანაკოევი („სპარტაკი“).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:1. მსაჯი ს. შალამბერიძე (თბილისი).** გოლები: ხვარეშია, ფანჩულიძე („საპოვნელა“), გაბისონია („ამირანი“).

**„დინამო“ (გაგრა) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 4:2. მსაჯი ე. ხოლაგავა (თბილისი).**

### მეორე ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„თრიალეთი“ — „სამგორი“ 1:0, „მეტალისტი — „ალგეთი“ 4:3, „კახეთი“ — „მიონი“ 2:1, სსი (მუხრანი) — „ჰერეთი“ 0:1, „კოლმეურნე“ — თსუ 1:0, „ქიზიყი“ — „ალაზანი“ 1:3.

#### ცენტრალური ქვეჯგუფი

„ფარვანა“ — „მამისონი“ 3:2, „ქართლი“ — „აბული“ 8:0, „მეშახტე“ — „ჩხერიმელა“ 5:0, „თორი“ — „განთიადი“ 2:0.

#### დასავლეთი ქვეჯგუფი

„იმერეთი“ — „დარჩელი“ 3:2, „სალხინო“ — „ჩიბათი“ 2:0, „მეშახტე“ — „მშენებელი“ 4:2, „ნარინჯი“ — „ოდიში“ 3:1, „ეგრისი“ — პოლ. ინსტ. (ქუთაისი) 2:0, „ზანა“ — „სუბტროპიკი“ 0:1, „ხვამლი“ — „ფაზისი“ 1:4, „ბეთლემი“ — „დვაბზუ“ 5:3.

## გათამაშების ცხრილები

### I ჯგუფი
მდგომარეობა 6 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შადრევანი“ | 28 | 18 | 8 | 2 | 61-26 | 44 |
| „ივერია“ | 28 | 14 | 6 | 8 | 45-37 | 34 |
| „მაღარო.“ | 29 | 12 | 8 | 9 | 44-38 | 32 |
| „სპარტა.“ | 27 | 14 | 3 | 10 | 50-32 | 31 |
| „ამირანი“ | 26 | 11 | 9 | 6 | 48-33 | 31 |
| „სამეგრ.“ | 29 | 13 | 3 | 13 | 47-56 | 29 |
| „სქური“ | 28 | 12 | 5 | 11 | 37-37 | 29 |
| „დინამო“ ზ. | 22 | 12 | 4 | 6 | 53-24 | 28 |
| სპი | 27 | 11 | 6 | 10 | 57-55 | 28 |
| „სიონი“ | 29 | 11 | 6 | 12 | 62-61 | 28 |
| „მეტალ.“ | 29 | 10 | 8 | 11 | 51-47 | 28 |
| „დინამო“ გ. | 26 | 12 | 3 | 11 | 50-48 | 27 |
| „მზიური“ | 26 | 10 | 7 | 9 | 40-38 | 27 |
| „სულორი“ | 27 | 10 | 7 | 10 | 43-44 | 27 |
| „საპოვნე.“ | 28 | 10 | 5 | 13 | 50-56 | 25 |
| „დურუჯი“ | 29 | 11 | 2 | 16 | 43-76 | 24 |
| „არმაზი“ | 27 | 6 | 10 | 11 | 25-33 | 22 |
| „ბახტრიო.“ | 29 | 8 | 5 | 16 | 34-57 | 21 |
| ფიზკ. ინსტ. | 25 | 6 | 5 | 14 | 39-48 | 17 |
| „არაგვი“ | 26 | 4 | 5 | 17 | 26-59 | 13 |

### II ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ალაზანი“ | 21 | 17 | 3 | 1 | 80-24 | 37 |
| „კახეთი“ | 21 | 15 | 5 | 1 | 56-22 | 35 |
| სსი მუხრა. | 21 | 16 | 2 | 3 | 73-26 | 34 |
| „ჰერეთი“ | 19 | 15 | 2 | 2 | 41-18 | 32 |
| „ბარისი“ | 22 | 10 | 7 | 5 | 36-25 | 27 |
| „კოლმეურ.“ | 21 | 9 | 6 | 6 | 53-57 | 24 |
| „შირაქი“ | 22 | 9 | 2 | 11 | 42-41 | 20 |
| „სამგორი“ | 22 | 7 | 6 | 9 | 43-56 | 20 |
| „თრიალე.“ | 21 | 8 | 3 | 10 | 38-41 | 19 |
| „მეტალის.“ | 20 | 5 | 7 | 8 | 43-51 | 17 |
| „ალგეთი“ | 19 | 5 | 5 | 9 | 31-46 | 15 |
| „სინათლე“ სპორტინტ. | 22 | 6 | 1 | 15 | 38-58 | 13 |
| „ქიზიყი“ | 22 | 4 | 4 | 14 | 21-60 | 12 |
| „მიონი“ | 20 | 4 | 1 | 15 | 30-54 | 9 |
| თსუ | 13 | 3 | 1 | 9 | 20-32 | 7 |
| „გარეჯი“ | 22 | 2 | 3 | 17 | 30-69 | 7 |

#### ცენტრალური ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქართლი“ | 23 | 19 | 3 | 1 | 77-22 | 41 |
| „მესხეთი“ | 22 | 16 | 2 | 4 | 70-34 | 34 |
| „ჩიხურა“ | 22 | 15 | 3 | 4 | 57-28 | 33 |
| „თორი“ | 23 | 14 | 5 | 4 | 56-29 | 33 |
| „საირმე“ | 22 | 15 | 2 | 5 | 47-23 | 32 |
| „ჩხერიმე.“ | 23 | 11 | 5 | 7 | 35-34 | 27 |
| „ვარძია“ | 23 | 10 | 6 | 7 | 42-31 | 26 |
| „მეშახტე“ | 24 | 11 | 3 | 10 | 45-35 | 25 |
| „მამისონი“ | 21 | 9 | 6 | 6 | 44-35 | 24 |
| „აბული“ | 23 | 11 | 1 | 11 | 57-58 | 23 |
| „იბერია“ | 23 | 8 | 4 | 11 | 35-46 | 20 |
| „განთიადი“ | 24 | 6 | 4 | 14 | 38-67 | 16 |
| „ზარზმა“ | 23 | 5 | 6 | 12 | 44-58 | 16 |
| „რაჭა“ | 22 | 2 | 2 | 18 | 24-73 | 6 |
| „ფარვანა“ | 24 | 2 | 2 | 20 | 18-85 | 6 |
| „ლიახვი“ | 30 | 4 | 2 | 24 | 18-85 | 10 |

#### დასავლეთი ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმერეთი“ | 24 | 17 | 5 | 2 | 61-24 | 39 |
| „ნარინჯი“ | 24 | 17 | 5 | 2 | 54-27 | 39 |
| პი. (ქუთაისი) | 26 | 14 | 5 | 7 | 53-33 | 33 |
| „ეგრისი“ | 26 | 14 | 3 | 9 | 43-36 | 31 |
| „მეშახტე“ | 23 | 13 | 4 | 6 | 48-25 | 30 |
| „ჩიბათი“ | 24 | 11 | 3 | 10 | 48-48 | 25 |
| „დარჩელი“ | 25 | 10 | 5 | 10 | 47-41 | 25 |
| „სუბტროპ.“ | 22 | 11 | 2 | 9 | 41-40 | 24 |
| „სალხინო“ | 26 | 10 | 4 | 12 | 44-48 | 24 |
| „ოდიში“ | 24 | 10 | 3 | 11 | 43-46 | 23 |
| „ფაზისი“ | 25 | 10 | 2 | 13 | 45-54 | 22 |
| „ბახმარო“ | 25 | 9 | 4 | 12 | 42-57 | 22 |
| „მენავთ.“ | 25 | 9 | 4 | 12 | 43-52 | 22 |
| „ბეთლემი“ | 26 | 8 | 5 | 13 | 39-43 | 21 |
| „ზანა“ | 26 | 6 | 5 | 15 | 27-47 | 17 |
| „მშენებ.“ | 25 | 6 | 4 | 15 | 53-66 | 16 |
| „ხვამლი“ | 26 | 1 | 7 | 18 | 33-85 | 9 |
| „დვაბზუ“ | 34 | 11 | 6 | 17 | 45-43 | 28 |



## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**ჰოლანდიის** ცნობილი საფეხბურთო კლუბი „აიაქსი“ (ამსტერდამი) 2 წლით დისკვალიფიცირებულია ევროპის საკლუბო თასების გათამაშებებიდან. ევროპის საფეხბურთო ასოციაციის კავშირის სადისციპლინო კომისიამ ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა მას შემდეგ, რაც განიხილა ერთ-ერთი ჰოლანდიელი გულშემატკივრის ხულიგნური საქციელი. ჰოლანდიელმა ფანატმა უეფა-ს თასის საპასუხო მატჩში 27 სექტემბერს რკინის ჯოხით მძიმე ტრავმა მიაყენა ვენის „აუსტრიის“ მეკარეს.

ეს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მხოლოდ იმ სეზონებს ეხება, როცა „აიაქსი“ ევროპულ ტურნირებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს. „აიაქსს“ აპელაციის უფლება მისცეს 9 ოქტომბრამდე, მანამდე კი ამსტერდამის სტადიონზე ორივე კარს უკან დაამაგრეს დამატებითი ლითონის ბადეები.

**კოპენჰაგენი.** ჰოლანდიელ ფეხბურთელებთან შეხვედრის შემდეგ (1:1), დანიის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ზეპ პიონტეკმა რამდენადმე შეცვალა თავისი გუნდის შემადგენლობა რუმინელებთან მატჩის წინ, რომელიც 11 ოქტომბერს უნდა გაიმართოს.

— რუმინელებს ერთი ქულით ჩამოვრჩებით, ამიტომაც მომავალ შეხვედრაში მხოლოდ მოგება გვაწყობს. — თქვა ზ. პიონტეკმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას, — გუნდში ორი აგრესიული თავდამსხმელი შევიყვანე: ვილფორტი „ბრონდბიუდან“ და იენსენი დასავლეთგერმანული „ჰამბურგიდან“.

მწვრთნელის მიერ დასახელებული 16 დანიელი ფეხბურთელიდან 10 უცხოეთში თამაშობს, მათ შორის ოთხივე თავდამსხმელი.

— ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია. მოთამაშეები აღსავსე არიან ენერგიითა და გამარჯვების ჟინით. გაიხსენეთ ზაფხულში გამართული მატჩები, როდესაც 6:0 მოვუგეთ შვედებს და 4:0 ბრაზილიელებს. ვეცდებით ასევე ვითამაშოთ რუმინელთა წინააღმდეგაც.

**ლონდონი.** ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის ბობი რობსონის აზრით ხულიგანი გულშემატკივრები დიდ ზიანს აყენებენ ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების საქმეს. მწვრთნელი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ სწორედ მაყურებელთა შორის შეტაკების თავიდან აცილების მიზნით, დეკემბერში არ ჩატარდება საკონტროლო მატჩი ინგლისისა და ჰოლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის. „ეს იქნებოდა ბრწყინვალე მატჩი და მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების უმნიშვნელოვანესი ეტაპი ორივე გუნდისთვის, — განაცხადა რობსონმა, — მაგრამ ზოგიერთი გულშემატკივარი ისე ცუდად იქცევა, რომ მთელ საქმეს აფუჭებს. ხულიგნები არ უნდა დავუშვათ სპორტულ ღონისძიებებზე და მკაცრად დავსაჯოთ“.

**იუგოსლავიის** ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ... ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ ... ქვეყნის ჩემპიონატში კვლავაც ძალაში დარჩა პუნქტი თამაშის ძირითად დროში ფრეს შემთხვევაში 11-მეტრიანი დარტყმების სერიის შესრულების თაობაზე. ... წესმა, იუგოსლაველთა აზრით, კარგი შედეგი გამოიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის მონაგარი

# სუვერენიტეტისაკენ წინგადადგმული ნაბიჯი

(დასასრული)

ნოემბერში საქართველოს დამოუკიდებელ წევრად ცნობას დიდად წაადგება, რაც ქართველ მორაგბეებს საერთაშორისო სარბიელისაკენ გაუხსნის გზას.

სპორტულ სფეროში სუვერენიტეტისთვის მოსაპოვებლად მიმდინარე საქმიანობაში მნიშვნელოვან მოვლენად გვესახება თბილისში გამართული სპორტული ბრიჯის რესპუბლიკური ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენციაც. ახლადშექმნილი ფედერაციის უახლოესი მიზანია სპორტული ბრიჯის საერთაშორისო ასოციაციის წევრად გახდომა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის წინსვლას.

ახლა კი სპორტულ სარბიელზე მოპოვებული მედლებიც გავიხსენოთ.

ამ მხრივ სექტემბერში ყველაზე დიდი სიხარული მოგვანიჭა თბილისელმა ბატუტზე მხტომელმა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა რუსუდან ხოფერიამ. მან დანიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში ნიკოლაეველ თანამემამულე ელენა კოლომეეცთან ერთად სინქრონულ ხტომებში ოქროს მედალი მოიპოვა. რუსუდანს აქ მეორე ოქროს მედალი საბჭოთა ნაკრებთან ერთად გუნდურ პირველობაში გამარჯვებისთვის გადაეცა.

ევროპის ჩემპიონატში გუნდურ პირველობაში ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა თბილისელი ხუთჭიდელი ვახტანგ იაგორაშვილი. ბუდაპეშტში გამართულ ჩემპიონატში იაგორაშვილი ორი სახეობის შემდეგ ჩემპიონატს ლიდერობდა, მესამე სახეობის შემდეგ მესამე ადგილზე გადაინაცვლა, საბოლოოდ კი მეექვსე აღმოჩნდა, რაც მისთვის შეუფერებელი იყო, თუმცა, საბჭოთა სპორტსმენთაგან იგი მაინც უძლიერესი აღმოჩნდა.

ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთელ ქალებს ჰყავთ ოთხი გამოკვეთილი ლიდერი, მათ შორის თბილისელი ლეილა მესხი, მაგრამ ამ ოთხეულიდან ვინ იყო უძლიერესი, ეს ძნელი სათქმელი გახლდათ. ძნელი იყო იმდენად, რამდენადაც ისინი საკავშირო პირველობებისთვის ჭელარ იცლიდნენ, საერთაშორისო ტურნირებში კი ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდნენ.

და აი, სოჭში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ოთხივე ჩოგბურთელი ჩაება. ერთეულთა თანრიგში ჩემპიონის ოქროს მედალი ლეილა მესხმა მოიპოვა. იგი ლარისა სავჩენკოსთან ერთად წყვილთა ასპარეზობაშიც ჩემპიონი გახდა.

გაგვახარა მეორე თბილისელმა ჩოგბურთელმა ვლადიმერ გაბრიჩიძემაც. იგი გამოდიოდა ბიტომში გამართულ ვაჟ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში „პოლონეთის ოქროს შემოგომა". აქ გაბრიჩიძემ ერთეულთა ასპარეზობაში ყველა მეტოქე დაამარცხა და მთავარი პრიზი მოიპოვა.

საქართველოში გამართულ საგზატკეცილო ველომრბოლელთა საკავშირო ჩემპიონატში დაყოფილი სტარტით, ქობულეთელმა სვეტლანა პრიახინამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მან ამ წარმატებას თბილისი-წყნეთის გზატკეცილზე მიაღწია. ამასთან, პრიახინამ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო ნაკრების წევრებთან ერთად გუნდურ პირველობაში გაიმარჯვა.

საქართველოს წყალმოთხილამურეთა ნაკრები, როგორც დამოუკიდებელი გუნდი, პირველად მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირში. ეს გახლდათ პლოვდივის (ბულგარეთი) ტრადიციული ტურნირი, რომელშიც თითქმის მსოფლიოს ყველა გამოჩენილი წყალმოთხილამურე გამოდიოდა. ამდენად, ერთობ სასიამოვნოა, რომ ასეთ ასპარეზობაში თავი გამოიჩინეს საქართველოს სპორტსმენებმა. მათგან საუკეთესო იყო ფოთელი ხათუნა კორკელია, რომელმაც ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა. ამავე სახეობაში მეორე იყო აგრეთვე ფოთელი ვასილ ბუდუროვი.

წყალმოთხილამურეთა მსგავსად დამოუკიდებელი გუნდით იასპარეზეს საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეებმაც. ისინი გამოდიოდნენ მურმანსკში, საკავშირო თასის გათამაშებაში, რომელმაც საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი. აქ საქართველოს ფალავნებმა გუნდურ პირველობაში მეორე ადგილი დაიკავეს. მათგან უძლიერესის სახელი მოიპოვეს მარტყოფელმა მამუკა გიგაურმა და თბილისელმა ჯემალ ბაკურაძემ. ამ უკანასკნელმა ფინალში ქუთაისელი თანაგუნდელი გიორგი ჰანკვეტაძე დაამარცხა. ბრინჯაოს პრიზიორი გახდა სამტრედიელი აკაკი ჩაჩუა.

კუბაში გამართულ სოციალისტური ქვეყნების ძიუდოისტ გოგონათა ტრადიციულ ტურნირზე „მეგობრობა" მეორე იყო სოფელ დიღმის მკვიდრი ნინო ქუცნიაშვილი.

იქვე ჭაბუკთა ტურნირში გაიმარჯვა თბილისელმა ჯონდო დაბრუნდაშვილმა. ზესტაფონელმა გიორგი გაჩეჩილაძემ მესამე ადგილი დაიკავა.

იუნიორ მშვილდოსანთა საკავშირო პირველობაზე, გუნდურ პირველობაში, გაიმარჯვა „შრომითი რეზერვების" ნაკრებმა, რომელიც მთლიანად საქართველოს სპორტსმენებით (ნასარიძე, თოფურია, ქვრივიშვილი) იყო დაკომპლექტებული. ამასთან, ნატო ნასარიძემ პირად პირველობაშიც გაიმარჯვა.

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ამ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გასულ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ნაკრებში ორი ჩვენი სპორტსმენი, ბათუმელი ლიანა ვერულიძე და ახმათ დიასამიძე იყო.

მოლდავეთში გამართულ ჭაბუკ ნიჩბოსანთა საკავშირო პირველობაზე ფოთელებმა ზურაბ კვინიკაძემ და იოანა მილორავამ ორადგილიანი კანოეთი ასპარეზობაში ორ-ორი მესამე ადგილი (250 და 1000 მეტრზე) დაიკავეს.

## ბონდო გველესიანი



საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას, ჩვენს მძლეოსნობას, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კოლექტივს 56 წლის ასაკში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გამოაკლდა ერთგული მოჭირნახულე ბონდო კონსტანტინეს ძე გველესიანი — წარსულში ცნობილი სპორტსმენი, მძლეოსნობის ერთ-ერთი დაუღალავი პროპაგანდისტი, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის გამგე.

ბ. გველესიანმა 1957 წელს დაამთავრა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი და იქვე დარჩა ლაბორანტად, შემდეგ კი ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის სასწავლო ნაწილს. აირჩიეს მძლეოსნობის კათედრის უფროს მასწავლებლად, აქტიურად გაუძღვა სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას და დამსახურებულად მიენიჭა დოცენტის წოდება. 1984 წელს კი ინსტიტუტის საბჭომ აირჩია მძლეოსნობის კათედრის გამგედ და ამ თანამდებობაზე მუშაობდა გარდაცვალებამდე.

1952-1960 წლებში იგი იყო საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრი, 60-იან წლებში ხელმძღვანელობდა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტს, 1979-1984 წლებში იყო საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის უფროსი.

დასანანია, რომ რესპუბლიკის სპორტულ სამყაროს ასე ადრე გამოაკლდა ენერგიით სავსე სპეციალისტი, რომელიც უდიდეს შრომისმოყვარეობასთან ერთად გამოირჩეოდა სიკეთით, მეგობრების, კოლეგებისა და სტუდენტების სიყვარულით, სწორედ ასეთად დარჩება იგი ჩვენს ხსოვნაში.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

საქართველოს სსრ მძლეოსნობის ფედერაცია.

## „სპორტლოტო"

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1989 წლის მე-40 ტირაჟების შედეგები, რომელიც 1 ოქტომბერს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45"-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.404.072 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (43) მოგება 1.390 მანეთია, ოთხისთვის (1.772) — 35, სამისთვის (29,599) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 35.000 ვარიანტი. 6-0, 5-1, 4-38, 3-745.

„სპორტლოტო 5 36"-დან: ტირაჟში დაშვებულია 14.257.874 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (25) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (4.330) — 155, სამისთვის (152.067) — 8.

საქართველოში: დაშვებულია 399.498 ვარიანტი. 5-0, 4-123, 3-4.050.

მე-40 ტირაჟისა და 31-40 ტირაჟებში მონაწილე ათტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1989 წლის 21 ოქტომბრიდან 21 ნოემბრის ჩათვლით.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 10 ოქტომბერს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

## გათამაშების კალენდარი

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დღეს განახლდება კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ გათამაშების მესამე და მეოთხე წრის კალენდარს.

7-8 ოქტომბერი. „მართვე" (თბილისი) — ბათუმი. დასაწყისი 14. ს. მსაჯები: დ. სადღობელაშვილი (თბილისი, რესპუბლიკური კატეგორია) და ი. მელაძე (ქუთაისი, რესპუბლიკური კატეგორია); სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — ქუთაისი. 15 ს. 30 წ. მსაჯები: ს. მალალაშვილი (თბილისი, საკავშირო კატეგორია), ა. ლომი (რუსთავი); „შევარდენი" (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი). 17 ს. მსაჯები: მ. ქურიძე (თბილისი, საერთაშორისო კატეგორია), ზ. დიდებარიძე (თბილისი); „სინათლე" (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). 18 ს. 30 წ. მსაჯები: გ. ავალიშვილი (თბილისი, საერთაშორისო კატეგორია), ზ. ზამთარაძე (თბილისი); ჭიათურა — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) მსაჯები: ზ. აბაშიძე (სამტრედია, საკავშირო კატეგორია), გ. გრიგორიანი (თბილისი); „აზოტი" (რუსთავი) — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი). მსაჯები: რ. გოგელია (თბილისი, საკავშირო კატეგორია), ა. როსტომაშვილი (თბილისი, საკავშირო კატეგორია).

## ჩოგბურთის ამბები

ტოკიო. ფედერაციის თასის გათამაშების მეორე წრეში სსრ კავშირის ჩოგბურთელ ქალთა ნაკრებმა დაამარცხა კანადის გუნდი 2:1. ლარისა სავჩენკომ აჯობა რენე სიმპსონს (6:1, 6:2), ლეილა მესხი დამარცხდა ჰელენ კალესისთან (1:6, 5:7), ნატალია ზვერევა — ლარისა სავჩენკოს წყვილმა კი მოუგო კელესისა და ჯილ ჰეტერინგტონს (6:0, 6:2). მეოთხედფინალში საბჭოთა გუნდი შეხვდება ესპანეთის ნაკრებს, რომელმაც დაამარცხა ჰოლანდიელი ჩოგბურთელები 2:0.

მეორე ტურის დანარჩენი შეხვედრები დამთავრდა ასე: აშშ — დანია 3:0, ჩეხოსლოვაკია — უნგრეთი 2:1, გფრ — იაპონია 3:0, ავსტრია — დიდი ბრიტანეთი 2:1, ბულგარეთი — არგენტინა 3:0, ავსტრალია — ახალი ზელანდია 3:0.

„სპორტპროგნოზი", 42-ე ტირაჟის პროგრამა (13-15 ოქტომბერი)

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 1. „დინამო" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) | 13.X | 30 | 50 | 20 |
| 2. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) | 13.X | 80 | 10 | 10 |
| 3. „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „მეტალისტი" (ხარკოვი) | 13.X | 40 | 50 | 10 |
| 4. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „შახტიორი" (დონეცკი) | 13.X | 50 | 40 | 10 |
| 5. „დინამო" (კიევი) — „არარატი" (ერევანი) | 13.X | 80 | 10 | 10 |
| 6. „დინამო" (მინსკი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) | 13.X | 20 | 60 | 20 |
| 7. „პამირი" (დუშანბე) — „ზენიტი" (ლენინგრადი) | 14.X | 40 | 50 | 10 |
| 8. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) | 14.X | 30 | 30 | 40 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 9. „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „კაირატი" (ალმა-ათა) | 14.X | 60 | 20 | 20 |
| 10. „როსტსელმაში" (როსტოვი) — ასკ (როსტოვი) | 14.X | 30 | 30 | 40 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 11. „სპარტაკი" (მოსკოვი) — ცსკა | 15.X | 20 | 10 | 70 |
| 12. ასკ (ლენინგრადი) — ურიცკის სახ. სკ. (ყაზანი) | 15.X | 30 | 50 | 20 |
| 13. „დინამო" (რიგა) — „კრილია სოვეტოვი" (მოსკოვი) | 15.X | 40 | 10 | 50 |

თბილისის სპორტის სასახლე

მინიფეხბურთის ტურნირი „მრეტების" მონაწილეობით

9-10 ოქტომბერი

გამოდიან: „ვერა" (საქართველოსა და სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი), „საბურთალო I" (თბილისის ექს-ჩემპიონი), „ოქროსუბანი" (თბილისის ჩემპიონი, მინიფეხბურთის საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული) და „მრეტები".

დასაწყისი 19 საათზე.

ბილეთები გაიყიდება სპორტის სასახლის სალაროებში 8-9-10 ოქტომბერს.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

(ა. წერეთლის გამზ. 2)

8 ოქტომბერი

გალა კონცერტი

(ინტერ პოპ-შოუ)

პირველად საბჭოთა კავშირში დასავლეთის პოპ-მუსიკის ვარსკვლავის მადონას მონაწილეობით „ეროტიკის" ჯგუფთან ერთად.

კონცერტში აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი საბჭოთა შემსრულებლები: ალექსანდრე მალინინი, ანტონ ტოკარევი (მისი მამის ა. ტოკარევის რეპერტუარით), რომა ჟუკოვი, სერგეი ტროფიმოვი და ჯგუფი „მინიონი".

დასაწყისი 19 საათზე.

ბილეთები იყიდება.

ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლა „ლოკომოტივი" აცხადებს 1978-79-80-81-82 წლებში დაბადებულ მოსწავლე ფეხბურთელთა მიღებას.

მსურველებს შეუძლიათ გამოცხადდნენ ყოველდღე 7 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე, 10-დან 18 საათამდე.

მისამართი: „ლოკომოტივის" სტადიონი, ილ. ჭავჭავაძის გამზირი № 78 და „ლოკომოტივის" საწვრთნელი ბაზა დიღომში.

სკოლის დირექცია.

„ლოკომოტივის" სტადიონი

9 ოქტომბერი

რაგბი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„ელმავალი" (თბილისი — „ავიატორი" (კიევი).

დასაწყისი 17 საათზე.

გათამაშდება ლატარია ავტომანქანა „ჟიგულის" ურიგოდ შეძენის უფლების მოსაპოვებლად.

ბილეთები იყიდება „ლოკომოტივის" სტადიონის სალაროებში.

ძიუდოს რესპუბლიკური ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი და რესპუბლიკის ჩემპიონი ძიუდოში

პაატა ლევანის ძე ლოხიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10519